შესყიდვის ელექტრონული პროცედურა

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განზრახული აქვს: სველი წერტილების სარემონტო სამუშაოების ჩატარება.
2. სამუშაოების/მომსახურების წარმოების ადგილები (ქ.თბილისის შემოგარენი)
3. სავარაუდო ღირებულება არაუმეტეს 254 000 ლარი;
4. ინტერესის გამოხატვა: კომპანიებს შეუძლიათ გამოხატონ ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის ინტერესი შემდეგი ფორმით: შესყიდვის ელექტრონული პროცედურის განცხადების გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, თავდაცვის სამინისტროს კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ წერილი ინტერესის გამოხატვის თაობაზე (დანართ N2-ის მიხედვით), რომელსაც უნდა დაურთონ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა (ფორმა N4). აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იქნას ინტერესის გამოხატვისათვის განსაზღვრული ვადის (5 სამუშაო დღე) ბოლო დღის 18:00 სთ-მდე, არასაიდუმლო ფორმით, დაგვიანებით წარმოდგენილი წინადადებები არ განიხილება;

5. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს სამშენებლო სამუშაოების შესრულების გამოცდილება 2015-2016 წლების განმავლობაში, არანაკლებ 300 000 ლარი;
6. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ხელშეკრულება და მისი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შესრულებული სამუშაოების ფორმა N2 ან/და მიღება-ჩაბარების აქტი);
7. დაინტერესებული პირისათვის დოკუმენტაციის გადაცემა: შემსყიდველი ინტერესის გამოხატვისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოფს აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის პრეტენდენტზე გადაცემას საიდუმლო წესით.

8. შესყიდვის ელექტრონული პროცედურის განცხადებაში მითითებული წინადადების წარდგენის ვადის ამოწურვამდე, პრეტენდენტებმა ელექტრონულ სისტემაში უნდა დააფიქსირონ საწყისი სახარჯთაღრიცხვო ჯამური ღირებულება. **აღნიშნული ღირებულება გამოსახული უნდა იყოს პირობით ერთეულებში.**

9. ელექტრონული ვაჭრობის 3 (სამი) დამატებითი რაუნდის დასრულების შემდეგ უმდაბლესი ფასის წარმომდგენმა კომპანიამ ვაჭრობის დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში საიდუმლოების წესის დაცვით, თავდაცვის სამინისტროში უნდა წარმოადგინოს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად მომზადებული ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა.
10. ელექტრონულ პროცედურაში ვაჭრობის დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში ლოკალური ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობის შემთხვევაში კომპანია

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

გამოეთიშება შესყიდვის ელექტრონულ პროცედურას და შემსყიდველი გადავა შემდგომ უმდაბლესი ფასის წარმომდგენ კომპანიაზე.

11. შემსყიდველს უფლება აქვს პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ წინასწარი ხართჯთაღრიცხვა გადაამოწმოს მოცულობების/დარიცხვების ნაწილში და შეუსაბამობების შემთხვევაში დააკორექტიროს იგი.

12. შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებამდე ნებისმიერ ეტაპზე უფლება აქვს ჩაშალოს ან/და შეწყვიტოს ელექტრონული პროცედურა თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესებიდან გამომდინარე.

13. შემსყიდველი არ არის ვალდებული შესყიდვაში მონაწილე პრედენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულებანი, დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიღებული იქნა შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შეწყვეტის/ჩაშლის გადაწყვეტილება.

14. **ელექტრონულ სისტემაში კომპანიის მიერ სავალდებულოა მხოლოდ რეკვიზიტების (დანართი N1) ატვირთვა.**

შესყიდვის ელექტრონულ პროცედურასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან: თორნიკე ახვლედიანი, ტელ: 595051000.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional